2. К. Ш. Куридзе, М. Ш. Симонидзе, Н. Ш. Надирашвили, М. М. Заалишвили. Биоорг. химия, 11, 3, 1985, 316—320.
3. М. Ш. Симонидзе, К. Ш. Куридзе, Н. Ш. Надирашвили, М. М. Заалишвили. Биохимия, т. 54, вып. 10, 1989, 1740—1744.
4. Л. У. Русия, К. Ш. Куридзе, Н. Н. Бокочадзе, М. Ш. Симонидзе, М. М. Заалишвили. Изв. АН ГССР, сер. биол., т. 15, № 3, 1989, 194—198.
5. R. Pinter *et al.* Acta Biochem. et Biophys. Acad. Sci. Hung., 15, 1980, 217—222.
6. U. K. Leammli. Nature, 227, 1950, 680—685.
7. P. Edman, G. Bergg. J. Biochem., 1, 1967, 80—91.
8. В. М. Липкин, Н. А. Алдамова, М. Ю. Фейчина, Е. Б. Жикуленко, Е. И. Виноградова. Биохимия, т. 37, вып. 2, 1972.

გიორგი გიორგიძე

გ. აღაშვილ, ნ. კოჭორიძე

ფიზიკური გამოკვლევების გაცვლის ვირტუალური თავის  
ტოპიდის მიკროსოფტ  $\text{Ca}^{2+}$ ,  $\text{Mg}^{2+}$ -ატფ-აზურ არტიკობაზე

(წარმოადგინა ეკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. ილექსიძემ 19.6.1992)

აღრე ჩატარებული გამოკვლევებით ჩვენ მოერ დადგენილი იყო, რომ ფიტოკემაგლუტინინის ანალიზი LPM 40–80, რომელიც გამოყოფილია ქართული ჯიშის ლობიოდან [1], აძლიერბს ვირტავებს თავის ტვინის მიკროსოფტი ფრაქციის  $\text{Ca}^{2+}$ ,  $\text{Mg}^{2+}$ -ატფ-აზურ აქტივობას, რაც დაკავშირებულია ეოკარიოტული უჯრედების პლაზმურ მებმბრანებში  $\text{Ca}^{2+}$ -ის იონების ტრანსპორტთან და უზრუნველყოფს მის პომენტურაში [2, 3]. ლიტერატურაში არის ექსპერიმენტული ნინაცემები იმის შესახებ, რომ რიგი მიტოგენები, კერძოდ ლექტინები (ცონკანავალინი და ფიტოკემაგლუტინინი), იწვევენ კალციუმის იონების ტრანსპორტის გაძლიერებას ლიმფოციტებში [4].

ცნობილია აგრეთვე, რომ ლობიოს თესლიდან გამოყოფილი ფიტოკემაგლუტინინი შედგება ორი იზოფორმისაგან, რომელთაგან L ფორმას ახასიათებს ლეიკოციტების, ხოლო მ ფორმას ერთოროციტების აგლუტინაციის უნარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ფიტოკემაგლუტინინი P-ს ერთოროაგლუტინინის და ლეიკოაგლუტინინის გაცვლის ვირტავებს თავის ტვინის მიკროსოფტი ფრაქციის  $\text{Ca}^{2+}$ ,  $\text{Mg}^{2+}$ -ატფ-აზურ აქტივობაზე.


ფიტოკემაგლუტინინი P, ლეიკოაგლუტინინი L და ერთოროაგლუტინინი მ მიღებული იყო სამეცნიერო-საწარმოო კომპერატური „ლექტინოტესტი“-დან. ფიტოკემაგლუტინინი და მისი იზოფორმები გამოყოფილია ჩვეულებრივი ლობიოს (*Dhaseolus vulgaris*) თესლიდან. პრეპარატი ნაწილობრივ გასუფთავებულია, გამდიდრებულია ლეიკოაგლუტინინით, მას ახასიათებს შედარებით დაბალი ერთოროაგლუტინინის და მაღალი ლეიკოაგლუტინინის უნარი. პრეპარატი ლიმფოციტების ძლიერი სტიმულატორია და მიტოგენურ აქტივობას მზავნებს  $\text{Ca}^{2+}$  და  $\text{Mg}^{2+}$  იონების თანდასწრებისას.

საკვლევ მაღისტრად გამოყენებული იყო ვირტავებს თავის ტვინის მიკროსოფტი ფრაქცია [5]. ფერმენტულ აქტივობას კვაზლევრავლით ატფ-ის ჰიდროლიზის შედეგად გამოყოფილი არაორგანული ფოსფორის მიხედვით ფ ი ს კ ე ს უ ბ ა რ უ ს მეთოდით [6]. ცილის რაოდენობას ვალგენდით ლოურისა და სხვათა მეთოდით.

ცდების პირველ სერიაში შესწავლილი იყო ჩვეულებრივი ლობიოს თესლიდან მიღებული ფიტოკემაგლუტინინი P-ს გაცვლის ვირტავებს თავის ტვინის მიკროსოფტი ფრაქციის  $\text{Ca}^{2+}$ ,  $\text{Mg}^{2+}$ -ატფ-აზურ აქტივობაზე (სურ. 1, 2).

როგორც სურათიდან ჩანს, ფიტოკემაგლუტინინი P იწვევს როგორც  $\text{Mg}^{2+}$ -ატფ-აზური, ასევე  $\text{Ca}^{2+}$ -ატფ-აზური აქტივობას გაძლიერებას. 0.5 mM ერთას დამატებისას, საკონტროლო ცდებში, ფერმენტული აქტივობა კავდება. ამ გზით დადგინდა ედტა-ს მინიმალური კონცენტრაცია ენდოგენური  $\text{Ca}^{2+}$ -ის იონების შესაბოჭად და სტანდარტული ფონის შესაქმნელად.

$Mg^{2+}$ -ატფ-აზას მაქსიმალური აქტივობა აღიიცობა აღინიშნება 0,05 მგ/მლ, ხოლო  $Ca^{2+}$ -ატფ-აზასი — 0,03 მგ/მლ. კონცენტრაციის დროს მაქსიმუმი პერიოდი შემოვლურინი რა გამააქტივებელი გავლენა  $Mg^{2+}$ -ატფ-აზასთან შედარებით, გაცილებით ეფექტური აღმოჩნდა  $Ca^{2+}$ -ატფ-აზაზე, რაც დაახლოებით 32%-ს შეადგენს. ედტა-ს თანაბიძისას ლექტინის გამააქტივებელი გავლენა  $Ca^{2+}$ -ატფ-აზაზე არ იცვლება და ფერმენტის მაქსიმალური აქტივობა კვლავ მაქსიმალურად მცდლავნდება ლექტინის 0,03 მგ/მლ კონცენტრაციის დროს.



სურათი 1. ფიტოქემიკურინი P (2), ერთონაგლუტინი ნინის (1) და ლექტინის (3) გავლენა ერთაგვას თავის ტენის მიკროსოფტ ფრაქციის  $Ca^{2+}$  (შეკვერცები) და  $Mg^{2+}$  (თეთრი სვერცები) —ატფ-აზურ აქტივობაზე. ორინამდებარებული მიკროსოფტ ფრაქციის  $Ca^{2+}$ ,  $Mg^{2+}$ -ატფ-აზური აქტივობის ცვლილება %-ით საკონტროლოს მიმართ. A, B, C, D, ე—ლექტინის იზოფორმების კონცენტრაციები: 0,01 მგ/მლ, 0,02 მგ/მლ, 0,03 მგ/მლ, 0,04 მგ/მლ, 0,05 მგ/მლ.

ფერმენტის აქტივობის მატებამ საკონტროლოსთან შეადრებით 50% შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ ედტა-ს კონცენტრაციის გაზრდისას ლექტინის გამააქტივებელი გავლენა როგორც  $Ca^{2+}$ , ასევე  $Mg^{2+}$ -ატფ-აზათი მცირდება.

ანალოგიური მოქმედება აღინიშნება ცდებშიც, სადაც შესწავლილი იყო  $Ca^{2+}$ ,  $Mg^{2+}$ -ატფ-აზაზე ერთონაგლუტინინის გავლენა (სურ. 1, 1). ერთონაგლუტინინი იწვევს  $Ca^{2+}$  და  $Mg^{2+}$ -ატფ-აზური აქტივობის გაზრდას. მაქსიმალური აქტივობა როგორც  $Ca^{2+}$ , ასევე  $Mg^{2+}$ -ატფ-აზას შემთხვევაში ავრცელება შეინიშნება ლექტინის 0,03 მგ/მლ კონცენტრაციის დროს, მაგრამ  $Ca^{2+}$ -ატფ-აზურ აქტივობაზე ლექტინის გავლენა,  $Mg^{2+}$  — ატფ-აზასთან შედარებით, დაახლოებით 30%-ით მცირი აღმოჩნდა.

თავის შხრივ,  $Mg^{2+}$ -ატფ-აზას მაქსიმალური აქტივობა აგრეთვე აღინიშნება ლექტინის 0,03 მგ/მლ კონცენტრაციის დროს და ის საწყისი აქტივობის 7. „მოამბე“, ტ. 148, № 1, 1993

მიმართ დაახლოებით 44%-ს არ აღვმატება, მაშინ როცა  $\text{Ca}^{2+}$ -ატფ-აზას აქტივობა საწყის სიდიდესთან შედარებით 72%-ით გაიზარდდა.

შედარებით განსხვავებული შედეგები იქნა მიღებული მიკროსომული ფრაქციის  $\text{Ca}^{2+}$ ,  $\text{Mg}^{2+}$ -ატფ-აზურ აქტივობაზე ფიტოჰემაგლუტინინი P-ს გავლენის შესწავლისას. შედეგები წარმოდგენილია 1, 3 სურ.-ზე.

გაირკვა, რომ ფიტოჰემაგლუტინინი L, P და მ იზოფორმებისაგან განსხვავებით ხასიათდება შედარებით მცირე გამააქტივებელი ეფექტით.  $\text{Ca}^{2+}$ -ატფ-აზას შემთხვევაში ფერმენტის აქტივობა 35%-ით გაიზარდდა, ხოლო  $\text{Mg}^{2+}$ -ატფ-აზას შემთხვევაში კი მხოლოდ 25%-ით.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ ვირთავას მიკროსომული ფრაქციის  $\text{Ca}^{2+}$ ,  $\text{Mg}^{2+}$ -ატფ-აზურ აქტივობაზე ფიტოჰემაგლუტინინის P-ს და მისი L და მ იზოფორმების გავლენაში არ შეინშევბა არსებითი კანონზომიერება.

ერთოთოციტებისა და ლეიკოციტების აგლუტინაციის უნარიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ ფიტოჰემაგლუტინინის იზოფორმების  $\text{Ca}^{2+}$ ,  $\text{Mg}^{2+}$ -ატფ-აზაზე გავლენა თითოეული იზოფორმის სპეციფიური თვისებაა და არ თავსდება აგლუტინაციის ზოგად კანონზომიერებათა ზღვრებში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა 22.6.1992)

## БИОХИМИЯ

М. И. АДАМИЯ, Н. И. КОШОРИДЗЕ

### ВЛИЯНИЕ ИЗОФОРМ ФИТОГЕМАГЛЮТИНИНА НА МИКРОСОМАЛЬНУЮ $\text{Ca}^{2+}$ , $\text{Mg}^{2+}$ -АТРазную АКТИВНОСТЬ ГОЛОВНОГО МОЗГА КРЫС

#### Резюме

Установлено, что изоформы фитогемагглютинина P, лейко- и эритроагглютинина из семян обыкновенной фасоли оказывают стимулирующее влияние на  $\text{Ca}^{2+}$ ,  $\text{Mg}^{2+}$ -АТРазную активность микросомальной фракции головного мозга крыс. Стимулирующий эффект на ферментативную активность в большей степени проявляется при концентрации ликтинов 0,03 мг/мл.

Не удалось выявить специфики в механизмах стимулирования активности  $\text{Ca}^{2+}$ ,  $\text{Mg}^{2+}$ -АТРаз в зависимости от агглютинирующей способности лейко- и эритроагглютинина.

#### BIOCHEMISTRY

M. ADAMIA, N. KOSHOPIDZE

### THE INFLUENCE OF PHYTOHEMAGGLUTININ ISOFORMS ON THE RAT'S BRAIN MIDROSOMAL $\text{Ca}^{2+}$ , $\text{Mg}^{2+}$ -ATP-AZE<sup>1</sup> ACTIVITY

#### Summary

The stimulating effect of phytohemagglutinin P and its  $\Theta$ -and L-isoforms on the rat's brain microsomal  $\text{Ca}^{2+}$ ,  $\text{Mg}^{2+}$ -ATP-aze activity has been shown. The maximal effect has been displayed at the concentration of lectins 0,03 mg/ml. No correlation between specific agglutination activity and  $\text{Ca}^{2+}$ ,  $\text{Mg}^{2+}$ -ATP-aze stimulating effect of lectins was discovered.

## ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. Н. Г. Алексидзе, Г. И. Алексидзе, Е. А. Рапава, Л. В. Кекенадзе.  
Конференция Зак. вузов, 1988.
2. Е. И. Зварич, М. И. Шахпаронов, И. Н. Маджанов, П. Х. Джеймс,  
Э. Караполи. Биологические мембранны, 8, № 7, 1991.
3. E. Carafoli, M. Zurgini. Bicchim. et biophys. acta, 683, 1982.
4. B. Sarkadi. Biochim et biophys. acta, 604, 1980.
5. R. Di Polo, I. Beauge. Nature, 278, 1979.
6. Ch. Fiske, I. Subbarow. J. Biol. chem. 66, 1925.

ნ. ჯიხარაძე, ი. ფავლენიავილი

კლინიკა და ჰიპოფიზ-თიროიდული ცისტების ფუნქციური  
მდგრადი და ცინკური ცისტების ცისტების ტრამულ-  
ჰიპოფიზის დაზიანების დროს ახალ მობილური

(წარმოადგინა ეკლემის წევრ-კორესპონდენტი ვ. ბახუტაშვილმა 15.3.1992)

ბავშვეთა ავადმყისა და სიყვდილიანობის შემცირება სახელმწიფო ცისტების მიზანის მიზანის შემცირება და სიკვდილიანობის სიმძიმის მიზანის შემცირება და ახალ მობილური ჰიპოფიზის ცისტების და ახალ მობილური ასფიქსია [1].

მეურნალობისა და დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდთა მიღწევების მიუხედავად, უკანასკნელ წლებში შეინიშნება ცნო-ის ტრავმულ-პიპოქსიური დაზიანების განვირებისაცენ ტენდენცია [2]. იგი ორცოდ იშვიათად განაპირობებს პერინატულური პერიოდის ლეტალობას, ბავშვთა ფინიკურ და ფსიქიკურ განვითარებაში ჩამორჩენას, ქმნის პრემორბიდულ ფონს მთელი რიგი დაავადებების განვითარებაში.

ახალ მობილობა ფიზიოლოგიური სტრესია, ხოლო იმ პერიოდში განვითარებული პათოლოგია განაპირობებს ექსტრემალურ მდგრადი რობას და ახასიათებს დაპტაციური მექანიზმების სრული მობილიზება, რომელიც უმთავრესად ცენტრალური მარეგულირებელი მექანიზმების, განსაკუთრებით კი, ნეიროენდორფინული სისტემის ფუნქციით განისაზღვრება [3].

ჩევნი დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 50 ახალ მობილი. გამოვყავით 2 ჯგუფი: I ჯგუფში შევიდა 19 ავადმყოფი, ცნო-ის ტრავმულ-პიპოქსიური სა-შეალო სიმძიმის დაზიანებით; II ჯგუფში — 31 ავადმყოფი ცნო-ის ტრავმულ-პიპოქსიური დაზიანების მძიმე ფორმით, აქედან 8 ავადმყოფს განვითარდა ტერმინალური მდგრადი რეალური გამოსავლით. სისხლის შრატში, რაღიონიმუნილოგიური მეთოდით შევისწავლეთ თიროქსინის, ტრიიოდიტირონინის, თირეოტროპინის, თირეოშემაგვარიტებელი გლობულინის კონცენტრაცია დაავადების დინამიკაში. საკონტროლო ჯგუფი შეადგინა 15 პრაქტიკულად განმრთელმა ახალ მობილმა.

ცნო-ის ტრავმულ-პიპოქსიური დაზიანების საშუალო სიმძიმის ფორმის მწვევე პერიოდის კლინიკის შესწავლით გამოვლინდა შემდეგი ნევროლოგიური სინდრომები: იგზნების სინდრომი ჰემონდა — 4, ზოგადი დატრავნების სინდრომი — 5, კრუნჩენითი სინდრომი — 8, პიპერტენზიულ-პილროცეფალური სინდრომი — 2 ავადმყოფს.

მუცულადყოფნის პერიოდში ეს ახალ მობილები იყოფებოდნენ ქრონიკული პიპოქსინის პირობებში დედის დაავადებების, გართულებული ორსულობისა და მშობიარობის გამო.

ცველა ახალ მობილი იყო საშუალო სიმძიმის ასფიქსიის პირობებში, რაც გრძელდებოდა 5—7 წუთს, მათი მდგრადი პერიოდის სკალით შეფასდა 4—5 წულით.

კლინიკაში მოთავსებისას 19 ავადმყოფიდან 9-ს ჰემონდა პიპოდინამია, დაუკავშირებული რეაქცია გარეგან გამლიზიანებელზე, კუნთა პიპორონია, აქტიურ

მოძრაობათა სიღარიბე, 4 ახალშობილს ჰქონდა მტევნის პარეზი, 2-ს ჰქონდა კალმარიალი რეზი, 10-ს ზოგადი აღგზნება, მეორეული ასფიქსიის შეტევა. ყველა ჰქონდა შიბილს ჰქონდა ძილის დარღვევა კანის ფერი ავადმყოფთა უმრავლესობას (12) ჰქონდა მკრთალი, გარდამავალი ციანოზით, 4-ს მკვეთრი ციანოზი ცხვირტუჩის სამყუთხედში; 2-ს — სახეზე წერტილოვანი ჩაქცევა; 2-ს — თვის არეზი, კანქცევა ვენური ქსელის გაფართოება; 6-ს — სამშობიარო სიმსივნე ქაფალოვარმის სახით, ზომით  $2,5 \times 3$  სმ-დან  $5 \times 7$  სმ-დაც. 13 ავადმყოფს გამოუვლინდა ტაქიკარდია, 144—168 1 წთ-ში; დანარჩენს პულსი ჰქონდა სუსტი ავსებისა და დაჭიმულობის, ბრადიკარდიით. 17-ს გულის ტონები მოყრუებული. სასუნთქი სისტემის მხრივ ცვლილებები წარმოდგენილი იყო სუნთქვის რიტმის დარღვევით: 4 ავადმყოფს სუნთქვა ჰქონდა განელებული, ხშირი აპნეაზით, 6-ს მეორეული ასისის შეტევები. ფილტვებში პერკუსიით — ფილტვის ნათელი ხმა, ასკულტაციით 7-ს უხეში სუნთქვა და ერთეული მშრალი ხიხინი, დანარჩენს — ვეზიკულური სუნთქვა. საჭმლის მომნელებელი სისტემის მხრივ: 9 ავადმყოფს მუცელი ჰქონდა შებერილი, 11-ს ღვიძლი სცილდებოდა ნეკნთა რეალს მარჯვენა მამილარულ ხაზზე 3 სმ-ით.

ნეკროლოგიური სტატუსი: ტირილი სუსტი ხმით, 5 ავადმყოფს ჰქონდა წამოკიდებანი, 4-ს შემატუხებელი ტირილი, 9-ს პასიური პოზა, როგორც გამშლელ, ისე მომხრელ კუნთთა ტონუსის დაქვეითება. 8-ს ჰქონდა ნიკაბისა და კიდურთა ტრემორი, რაც ძლიერდებოდა მოძრაობისას; 2-ს ჰქონდა განმეორებითი ტონერ-კლონური კრუნქებები. თვალის მამოძრავებელი სიმპტომებიდან 4-ს აღნიშნებოდა პორიზონტალური ნისტაგმი, 4-ს სიელმე, 2-ს „ჩინავალი მზის“ სიმპტომი. წყვისა და ყულვეის რეფლექსი ყველა ავადმყოფს ჰქონდა დაქვეითებული ძიების, ხორთუმის რეფლექსი არ ჰქონდა 3-ს, დანარჩენს ჰქონდა სუსტად გამოხატული. ბაქინის რეფლექსი არ იყო 8 ავადმყოფში, დანარჩენს ჰქონდა დუნე. მოროს რეფლექსი 12-ში იშვეოდა ხანგრძლივი ლატენტური პერიოდით და იყო არასრულყოფილი, 2-ს აღნიშნა რეფლექსთა ასიმეტრია, დანარჩენ ავადმყოფებში საერთოდ არ იშვეოდა. რობინსონის რეფლექსი იშვეოდა 11 ავადმყოფში, სუსტად იყო გამოხატული 8 ავადმყოფში. ავტომატური სიარულის, ბერნის, ცოცვის, მყესთა რეფლექსები დათრგუნვილი იყო 6 ავადმყოფში, დანარჩენს ჰქონდა სუსტად გამოხატული. ბაზინსკის რეფლექსი დაქვეითებული ქტივობით იშვეოდა ყველანი, პერესის რეფლექსი იშვეოდა 15-ში, დაყოვნებული და დუნე რეაქციით; არ იშვეოდა 4 ავადმყოფში. გალანტის რეფლექსი არ იშვეოდა 8-ში, დანარჩენებს ჰქონდათ დაყონებული რეაქცია.

ყველა ავადმყოფს გამოუვლინდა ლიქვორული ჰიპერტენზიის სინდრომი. სისხლში 11-ს აღნიშნა ლიკომაზენირებული მეტაბოლური აციფოზი. თვალის ფსკერზე — 5-ს გამოუვლინდა სისხლძარღვთა ქსელის გაფართოება. თვეის ქალას რეტრენგოგრაფით — ინტრაკანიალური ჰიპერტენზიის ნიშნები.

ნეიროსონოსკოპიური გამოკვლევით გამოხატული იყო დიფუზური მწვავე და ქრონიკული ჰიპოენენის სურათი. სხვადასხვა ხარისხის პარკუჭშიგა სისხლის ჩაქცევა დაუდგინდა 4 ავადმყოფს, პარკუჭის ზომების შეცვლით და შეცვლის ვარეშე. სუბარაქნოიდული სისხლის ჩაქცევა — 2 ავადმყოფს.

ჩატარებული გამოკვლევით დადგინდა (იხილეთ ცხრილი). რომ ცნს-ის ტრავმულ-პიპოქსიური საშუალო სიმძიმის დაზიანების დროს, მწვავე პერიოდში, მკურნალობამდე, სტატისტიკურად სარწმუნოდ ცყო შემცირებული თიროქსინის, ტრიოდთირონინის, თირეოტროპინის, თირეოშემაკავშრებელი გლობულინის კონცენტრაცია ნორმასთან შედარებით. დაავადების დინამიკაში, მკურნალობის ფონზე, მკვეთრად იზრდება თიროქსინის, ტრიოდთირონინის, თი-

რეოტროპინის, თირეოშემაკავშირებელი გლობულინის კონცენტრაცია  $\text{სისხლის } \text{შრატში } \text{მკურნალობამდე } \text{არსებულ } \text{მჩქვენებლებთან } \text{შედარებული } \text{კონცენტრაცია } \text{თითქმის } \text{უახლოვდება } \text{ნორმის } \text{მაჩქვენებლებს} (p>0,05).$

ამრიგად, ცნს-ის ტრავმულ-ჰიპოქსიური საშუალო სიმძიმის დაზიანების დროს გამოვლინდა ჰიპოფიზ-თირეოიდული სისტემის ჰიპოფიზუნეცია, რომლის ოღვენაც სწრაფად ხდება დაავადების დინამიკაში, მკურნალობის ფონზე და თირეოქსინის, ტრიიოლოთირონინის, თირეოტროპინის, თირეოშემაკავშირებელი გლობულინის კონცენტრაცია თითქმის უახლოვდება ნორმას.

II ჯგუფი შეადგინა 31 ავადმყოფმა, ცნს-ის ტრავმულ-ჰიპოქსიური დაზიანების მძიმე ფორმით. ანამნეზური მონაცემებით, ეს ახალშობილები, მუცილადყოფნის პერიოდში, იმყოფებოდნენ ხანგრძლივი ჰიპოქსიის პირობებში დედის სხვადასხვა დაავადების, პათოლოგიურად მიმდინარე ახალშობისა და შშობიარობის გამო. ავადმყოფ ბავშვთა უმრავლესობა კლინიკაში მოთავსდა პირდაპირ სამშობიარო სახლიდან. ყველა ავადმყოფი დაბადა ლრმა ასტიკისიაში, რაც გრძელდებოდა 7-დან 10 წლიამდე. ახალშობილთა გამოყვანა ჰიპოქსიური მდგომარეობიდან ხდებოდა რეანიმაციული ლონისძიებების საშუალებით. პეგარის სკალის მიხედვით 23-ის მდგომარეობა შეფასდა 3 ქულით, 8 ავადმყოფის — 1 ქულით.

კლინიკურ სურათში წარმოდგენილი იყო შემდეგი ნევროლოგიური სინდრომები: კომური სინდრომი ჰქონდა 4, კრუნჩებითი სინდრომი — 12, ზოგადი დათრგუნვის სინდრომი — 7, აგნების სინდრომი — 5, ჰიპერტენზიულ-ჰიდროცეფალური სინდრომი — 2 ავადმყოფს.

კლინიკაში მოთავსებისას ყველა ახალშობილის საერთო მდგომარეობა იყო ძალიან მძიმე: 31-დან 5 იყო კომურ მდგომარეობაში, აღნიშნებოდა სრული ადინამია, კუნთა სერტო ჰიპოტონია ატონიამდე, რეაქციის არარებობა მტკივნეულ გალიზიანებაზე, 12-ს ჰქონდა კუნთა ჰიპოტონია და გარეგან გამღიზიანებელზე რეაქციის შესუსტება; 13-ს კრუნჩებები ტონური და კლინური კომიონენტით. ყველა ახალშობილს ჰქონდა ძილის დარღვევა. 12 ახალშობილს კანის საფარეველი ჰქონდა მარმარილოსებრ ჭრელი, ცხვირ-ტუჩის სამკუთხედში შეკეთრად ციანოზური, 10-ს ჰქონდა დიფუზური ციანოზი, 5-ს კანისა და ლორწოვანი გარსის ყვითელი შეფერვა, 3-ს კიდურთა შეშებება და სილუტე. ყველა ავადმყოფს ლენიშნებოდა გულის მუშაობის დარღვევა. რაც გამოიხატა 24 ავადმყოფში ტაქიკარდიით და 7 ავადმყოფში ბრადიკარდიითა და არითმიით. გულის საზღვრები ყველა ავადმყოფს ჰქონდა ასაეობრივი ნორმის ფარგლებში. გულის ტრენი იყო მოყრუებული. ავადმყოფებს გამოუვლინდათ სასწოთო სისტემის უკმარისობის სიმპტომები; ავადმყოფთა უმრავლესობას (15) ჰქონდა ზედაპირული სუნთქვა, ხშირი აპნეა და ასეპონია ნირე მერყეობდა 45%-დან 80%-მდე. 4-ს აღნიშნებოდა მეორეული ასტიკისის შეტევები. ფილტებში აუსკულტაციით 11 ავადმყოფს ჰქონდა შესუსტებული სუნთქვის ფონზე ერთეული მშრალი ხიხინი, დანარჩენს კი — ვეზიულური სუნთქვა. საჭმლის მომნელებელი სისტემის მხრივ ავადმყოფთა უმრავლესობას ჰქონდა ნაწლავთა პარეზის ნიშნები; 11-ს ლეიიდლის ქვემო კიდე სცილდებოდა მარჯვენა მამილარულ ხაზზე ნერნთა რკალს 3,5 სმ-ით. ნევროლოგიური სტატუსი: ტირილი სუსტი, მყენესარე ხმით. 4 ახალშობილს პერიოდულად ჰქონდა წამოკივლება. სახის გამომზეტყველება ყველას ჰქონდა შეწყვებული. პოზა პასიური; 5 ახალშობილს ხელები ჰქონდა გაშლილი და განლაგებული ტანის გასწვრივ; 8-ს თავის პოზა ჰქონდა იძულებითი (თავი გადაწყველი ჰქონდა უკანა მხარეს 5 ავადმყოფს; ერთ და იმავე მხარეს — 2-ს). 5-ს კიდურთა სპასტიკური დამბლა (3-ს ზედა, 2-ს ყველა კიდურისა), 8-ს ნიკაპისა და კიდურთა

ტრემორი, თველის მამოძრავებელი სიმპტომებიდან — 14-ს პორიზონტა ალფა-1-კარ्बოდიოიდები; 7-ს სიელმე; 8-ს „ჩიმავალი მზის“ სიმპტომი. ფიზიოლოგიური მდგრადეობა ნისტაგმი; 11-ს, ძიებისა და ხომოუმის რეფლექსი არ ჰქონდა; ბაბკინისა და რობინსონის რეფლექსები ჰქონდა 24-ს, 7-ს ჰქონდა დაქვეითებული რეაქციით. მორის რეფლექსი არ იყო არც ერთ ავადმყოფში. ბაბინსკის რეფლექსი იწვეოდა 19-ში, დანარჩენებთან იწვეოდა შესუსტებული რეაქციით და დიდი ლატენციური პერიოდით. ავტომატური სიახლის, ბეკნის, ცოცვის, მყესთა რეფლექსები დათრგუნვილი იყო, არ იწვეოდა არც ერთ ავადმყოფში. პერესის რეფლექსი იწვეოდა 17-ში, დაყოვნებული და დუნე რეაქციით; არ იწვეოდა 14 ავადმყოფში. გალანტის რეფლექსი არ იწვეოდა 13-ში, დანარჩენებს ჰქონდათ დაყოვნებული რეაქცია.

უველა ავადმყოფს ჰქონდა ლიქვორული პიპერტენზის სიმპტომი.

სისხლში 23-ს ჰქონდა დეკომპენსირებული მეტაბოლური აცილაში. თვალის ფსკერზე 21-ს გამოუვლინდა ვენტრი ქსელის გაფართოება, 7-ს ჰქონდა ბაზურაზე წერტილვანი სისხლის ჩაქცევა. თავის ქალას რენტგენოგრამაზე 15-ს აღნიშნა ინტრაცრანიალური პიპერტენზის ნიშნები.

ნეიროსონკუროვანი გამოკვლევით გამოხატული იყო დიფუზური, მწვავე და ქრონიკული პიპოქების სურათი. სხევადასხვა ხარისხის პარკუშიგა სისხლის ჩაქცევა დაუსავინდა 5 ავადმყოფს, პარკუშის ზომების შეცვლით და შეცელის გაზრდები, სუბარაქნოიდული სისხლის ჩაქცევა 4-ს, სუბდურული სისხლის ჩაქცევა — 3 ავადმყოფს.

ცნს-ის ტრავმულ-პიპოქსიური დაიიანების მძიმე ფორმის დროს ზემოთ განვილული 31 ავადმყოფიდან 8-ს განუვითარდა ტერმინალური მდგრმარეობა, რაც დამთავრდა ლეტალური გამოხალით.

ამ ახალშობილებს დაბალებისას აღნიშნებოდათ ლრმა და ხანგრძლივი ძალის განვითარება; აპგარის სკალით მათი მდგრმარეობა შეფასდა 1 ჭულით.

კლინიკაში ეს ავადმყოფები მოთავსდნენ უშუალოდ საშობიარო სახლიდან. კრიტიკულ მდგრმარეობაში. კლინიკურ სურათში პრევალირებდა ზოგადი დათრგუნვისა და კომური სინდრომები. ცნობიერება მთ ჰქონდათ დაბინდული, გარეგან გაღიზიანებაზე რეაქცია არ ჰქონდათ ან ჰქონდათ არაადვიკატური, დაყოვნებული. ავადმყოფებს აღნიშნებოდათ სრული აღინიშნა, არცლექსია, პიპორნია ატონიამდე, წოვისა და ყლაპვის რეფლექსთა არარსებობა, სხვა რეფლექსები იყო თითქმის დათრგუნვილი. ავადმყოფთა უმრავლესობა ინტროდა, ზოგიერთ მათგანს აღნიშნებოდა კვენესა სუსტი ხმით, პერიოდულად კი წამოკიდებანი. კანი — დიფუზური ციანოზით, მიწის ელფერით. სკლერებზე, სახეზე, ლორწოვაზე წერტილვანი სისხლის ჩაქცევებით. ზოგიერთ მათგანს განუვითარდა შეშუპებითი სინდრომი. ავადმყოფებს გამოუვლინდათ მიკროკიდებულაციის მკეთრი, ლრმა დარღვევები, გულ-სისხლასრულთა და სასუნთქი სისტემების უკარისიობა. დინამიკაში განვითარდა უველა შინაგანი ორგანოს დისტუნქცია, ვიტალური ფუნქციების სრული დათრგუნვა. ამ ავადმყოფებიდან 2-ს აღნიშნა გულის მუშაობის გაზრება, 5 მათგანს კი განუვითარდა სერიული პნოები, გადაყვანილი იყვნენ მართვით სუნთქვაზე, ხოლო შემდეგ კი გაუჩერდათ გულის ცემა.

ჩატარებული გამოკვლევებით დაღვინდა (იხ. ცხრილი), რომ ცნს-ის ტრავმულ-პიპოქსიური დაზიანების მძიმე ფორმის დროს, მწვავე პერიოდში, მკურნალობამდე მცველრად იყო შემცირებული თირეოქსინის, ტრიიდოდორნინის, თირეოტროპინის, თირეოშემავავშირებელი გლობულინის კონცენტრაცია ნორმასთან შედარებით და აგრეთვე, ცნს-ის ტრავმულ-პიპოქსიური საშუალო სიმ-



ძიმის დაზიანების ღროს, მკურნალობამდე პერიოდში ასებულ მაჩვენებელებით თან შედარებით.

დავადების ღინამიერში, მკურნალობის ფონზე, ისრდება თიროქსინის, ტრიონდორნინის, თიროშემავშირებელი გლობულინის, თიროტროპინის კონცენტრაცია, თუმცა გაფანტელების შემთხვევაშიც ვერ აღწევს ნორმის მაჩვენებლებს და სტატისტიკურად სარწმუნოდ ნაკლებია მათზე.

ფარისებრი ჯირკლისა და პიპოფის ჰორინთა კონცენტრაცია სისტემაში ცნობილი ტრავმულ-პოვენტირ დაზიანების ღროს აზიშშილებში

ცნობის ტრავმულ-პიპოფ-სიერი დაზიანება	სტატისტიკური მარტინი	თიროქსინის ნივთები	თიროშემავშირებელის ნივთები	თიროტროპინის ნივთები	თიროკონდილის ნივთები	
საშუალო სიმძიმის ფორმა	მკურნალობამდე  n=19	M ± m  p <sub>1</sub>	100,71±4,52  <0,001	1,21±0,11  <0,001	2,21±0,15  <0,05	22,44±0,17  <0,001
	მკურნალობაშედეგ  n=19	M ± m  p <sub>1</sub>  p <sub>2</sub>	125,35±3,43  >0,05  <0,001	1,99±0,18  >0,05  <0,001	2,05±0,21  >0,05  <0,01	25,65±0,55  >0,05  <0,01
მიმღე ფორმა	მკურნალობაშედეგ  n=31	M ± m  p <sub>1</sub>  p <sub>2</sub>	89,22±3,11  <0,001  <0,05	0,97±0,05  <0,001  <0,05	1,55±0,13  <0,001  <0,001	20,21±0,11  <0,001  <0,001
	მკურნალობაშედეგ  n=31	M ± m  p <sub>1</sub>  p <sub>2</sub>	115,01±5,23  <0,05  0,001	1,54±0,12  <0,01  <0,001	2,12±0,22  <0,05  <0,05	22,42±0,14  <0,001  <0,001
საკონტროლო ჩილი	n=15	M ± m	138,32±5,25	2,27±0,18	3,18±0,32	26,51±0,45

ნ—გამოკვლეულია რასტკა.

პ<sub>1</sub>—განსხვავებათა სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა საკონტროლო გრეფთან შედარებით.

პ<sub>2</sub>—განსხვავებათა სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა ცნობის ტრავმულ-პიპოფ-სიერი დაზიანების საშუალო სიმძიმის ფორმის ღროს, მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ პერიოდებს შორის.

პ<sub>3</sub>—განსხვავებათა სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა ცნობის ტრავმულ-პიპოფ-სიერი დაზიანების საშუალო და მიმღე ფორმებს შორის, მკურნალობამდე პერიოდში..

პ<sub>4</sub>—განსხვავებათა სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა ცნობის ტრავმულ-პიპოფ-სიერი დაზიანების მძალა და მიმღე ფორმებს შორის, მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ პერიოდებს შორის:

ამრიგად, პერიოდულ პერიოდის ცნობის ტრავმულ-პიპოფ-სიერი დაზიანება იშვებეს თირეალიდული პორმონების სინთეზისა და პიპოფიზური რეგულაციის დაღვევების. პიპოფიზ-თირეოიდული სისტემის პიპოფუნქციია გაულებით მკვეთრია და სტაბილური მძიმე ფორმის დაზიანების ღროს საშუალო სიმძიმის დაზიანებასთან შედარებით, ე. ი. ტრავმულ-პიპოფ-სიერი დაზიანების კლინიკური ფორმა (სიმძიმის მიხედვით) პირდაპირპორციულია პიპოფიზ-თირეოიდული სისტემის პიპოფუნქციის ხარისხისა. მიღებული მონაცემები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს, როგორც დამხმარე სადიაგნოსტიკო-სადიფერენციალ ტესტი დავადების სიმძიმის ხარისხის აღრეულ ეტაპზე შესაფასებლად.

და დავალების კომპლექსურ მეცნიერობაში მაკორეგირებელი საშუალებების ჩატარება.

ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პედიატრიის კათედრა  
თბილისის ბავშვთა რესპუბლიკური საავალმცოფო

(შემოვიდა 20.03.1992)

## ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА

Н. Г. ДЖИНЧАРАДЗЕ, И. В. ПАВЛЕНИШВИЛИ

### КЛИНИКА И ФУНКЦИОНАЛЬНОЕ СОСТОЯНИЕ ГИПОФИЗАРНО-ТИРЕОИДНОЙ СИСТЕМЫ ПРИ ТРАВМАТИЧЕСКО-ГИПОКСИЧЕСКОМ ПОВРЕЖДЕНИИ ЦНС У НОВОРОЖДЕННЫХ

#### Резюме

При среднем и тяжелом травматическо-гипоксическом повреждении ЦНС в сыворотке крови 50 новорожденных исследованиями концентрации тироксина, триодтиронина, тиреотропина, тиреосвязывающего глобулина радиоиммunoлогическим методом выявлена гипофункция гипофизарно-тиреоидной системы, причем концентрация этих параметров уменьшена. Вместе с тем, качество гипофункции более выражено и стабильно при тяжелой форме травматическо-гипоксического повреждения, чем при повреждении средней тяжести, что может быть использовано в качестве вспомогательного диагностико-дифференцирующего теста для раннего выявления степени тяжести заболевания и включения корригирующих средств в комплексное лечение.

#### EXPERIMENTAL MEDICINE

N. JINCHARADZE, I. PAVLENISHVILI

### CLINIC AND FUNCTIONAL STATE OF HYPOPHYSIS - THYROIDAL SYSTEM DURING TRAUMATIC - HYPOXIAL DISORDER OF C. N. S. IN NEWBORNS

#### Summary

During medium and severe traumatic - hypoxial disorder of C. N. S. the hypofunction of the hypophysis - thyroidal system was revealed in the blood serum of 50 newborns by investigating the concentration of thyroxine, triiodothyronine, thyrotropin, and thyro-binding globuline — the concentration of these parameters being decreased. At the same time, the hypofunction quality is more pronounced and stable in the severe form of the traumatic-hypoxial disorder than in the severe form of the traumatichypoxial disorder than in the medium form of the disorder, which can be used as an auxiliary diagnostic and differentiating test to define the seriousness of the disease at an early stage and to introduce regulating means into a multimodality therapy.

#### ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. Ю. А. Якунин, Э. И. Ямпольская, С. Л. Киппис, И. М. Сисоева. Болезни нервной системы у новорожденных и детей раннего возраста. М., 1979.
2. გ. ბეგარაძე, ი. ფავლენიშვილი. აზოვშობილთა დავალებები. თბილისი, 1990.
3. В. А. Михельсон, Э. Д. Костин, Л. Е. Цыпин. Анестезия и реанимация новорожденных. Л., 1980.

### 3. მორჩია

#### „ქართლი“-სა და „ქართველი“-ს ეტიმოლოგიისათვის

(წარმოადგინა ავალემის წერტ-კორესპონდენტმა მ. ანდრონიკაშვილმა 20.9.1992)

სიტყვების — „ქართლი“ და „ქართველი“-ს ეტიმოლოგიისა და სემანტიკის შესახებ ენათმეცნიერებსა და ისტორიკოსებს შორის დღესაც აზრთა სხვადასხვაობაა. აქ გასარჩევია რამდენიმე თვალსაზრისი.

ლეონტი მროველის კონცეფციით, ქართველები, სხვა კავკასიელ ტომებთან ერთად, ნოეს ძის, იაფეტის, შეილიშვილის, თარგამოსის, შთამომავალინი არიან. მას შემდეგ, რაც ნებროთმა ბაბილონს გოდოლი ააშენა, იქ ენები გაიყვნენ და გაიბინივნენ მთელს ქვეყანაზე. თარგამოსი თავისი მრავალრიცხვანი შთამომავალობით წამოიდა და ორ მთას, არარატ — მასის შუა დაემცევიდა. შემდეგში, რაც არარატისა და მასის ქვეყანა უელრ იტევდა თარგამოსის გამრავლებულ მოლგმას, თარგამოსმა გაუყო შეილებს თავისი სამკვიდრებელი. ქართველების (აღმოსავლელი შტოს) წინაპარს, ქართლოსს, ერგო ქვეყანა... რომელსაც აღმოსავლეთი საქართველო შეიძლება ეწოდოს, მეგრელების (ქართველთა დასაცლელი შტოს) წინაპარს ეგრისს — კი წილად პევდომია „ზღვის ყურის ქვეყანა, დასაცლეთი საქართველო. სამეგრელო ([1], გვ. 1—3).

ლ. მროველის კონცეფციის მქაცრი, მაგრამ სწორი და მართებული შეფასება მოგვია აყალ. ი. ჭავახიშვილმა, რომელმაც უჩვენა, რომ ლ. მროველის კონსტრუქცია ხელვნები და მწიგნობრული წარმოშობისაა ([2], გვ. 172). აყალ. ი. ჭავახიშვილს შესაძლებლად მიაჩნია, დაუშეამ, რომ „იქნებ ხალხში გარდმოცმით მაინც რაიმე ბუნდოვანი თქმულება არსებობდა ქართველთა და ზემოჩამოთვლილ ტომთა მონათესაობაზე ([2], გვ. 174).

აყალ. ს. ყაუხნიშვილის აზრით, „ქართლის ცენოგრების“ მიხედვით, „ქართლი“ ერქვა იმ ადგილს, სადაც დაემცევიდრა ქართველთა ლეგენდარული მამამთავარი ქართლოსი. მმ ადგილს შემდეგ ეწოდა არმაში და აქ აშენდა „დედა-ციხე“ ([3], გვ. 8).

ანტიკურ მწერლობაში ეს ადგილი იწოდება ხან „არმაზციხედ“, ხან „აქროპოლისად“, დიონ კასიონსი ლაპარაკოსს „ქალაქზე. რომელსაც აქროპოლისი ერქვა“ ([4], გვ. 76).

სიტყვა „ქართველის“ ეტიმოლოგიის შესახებ თავისი მოსაზრება გამოიტევა აყალ. ი. ჭავახიშვილმა, რომელიც წერდა: „ჩვენი ეროვნების სხვადასხვა ტომთა სახელებში ჩვენი ერის უძველესი ბინადრობისა და სამშობლოს სახელია შენახული. ავიღოთ, მაგალითად, სიტყვა „ქართული“... მორთულობის ანალიზი მისგან გამოყოფს „სადაურობის, ანუ ჩამომავლობის საკვეცს“ -ელს; ამის შემდეგ „სიტყვა „ქართველის“ პირველი ნაწილიც „ქართუ“ ქვეყნის სახელი უნდა იყოს...“ „ამგვარად, დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ქართულ-მეგრული შტოს ტომების საკუთარ სახელებში (ქართული, კარლუხი) ერთი და იმავე ქვეყნის სახელი გვხვდება: იგი არის ქართუ, ანუ კარლუ. რაც ამ ქვეყნის სახელი ორივე შტოს ტომების სახელწოდებაში მოიპოვება, უძველესი, იგი ქართველების თავდაპირველი საქართო სამშობლო უნდა

ყოფილიყო. ამ საშობლოს ხსოვნა ქართველების მესამე შტოს წარმომადუყოფილიყო. ამ საშობლოს ხსოვნა ქართველების მესამე შტოს წარმომადუყოფილის გენელს, სვანებისაცა აქვთ შეტჩენილი. სვანეთში ახლა მოიპოვება ტერმინი „სამშობლოს საზოგადოება, რომელსაც „ქალდე“, ანუ ხალდე ჰქვიან. ერთი სიტყვით, სოფლის საზოგადოება, რომელსაც „ქალდე“, ანუ ხალდე ჰქვიან ეროვნების თვედაპირეულ სამშობლოდ უნდა ჩაიხალდე, ანუ ქართუ ჩვენი ეროვნების თვედაპირეულ სამშობლოდ უნდა ჩაითვალოს. ეს კარდუ, ანუ ქართუ განთქმული ქვეყნია ქალდეა არის“ ([5], გვ. 34—35).

აკად. ი. გავახიშვილის აქ გამოთქმული თვალსაზრისის ანალიზი გვიჩვენებს. რომ ხალდე თუ ქალდე ვერ დავვეხმარება წარმომადუყოფილის გარკვევაში, მაგრამ მეცნიერი მართალია, როცა ჩვენი ქვეყნის სახელს უკავშირებს ქართუ-ს.

აკად. ს. განაშია და აკად. ი. შანიძე „ქართლისა“ და „ქართველის“ ეტიმოლოგია-სემინტიკას უკავშირებენ „ქართლის მოქცევის“ არიანა — ქართლს.

აკად. ს. ჯანაშია ას აზრით, „ქართლის მოქცევის“ თხრობის არიანა — ქართლი წარმოადგენს მოგონებას ჰარი ქვეყნის, როგორც ქართველთა უძველესი საცხოვრისის შესახებ“ ([6], გვ. 70). ავტორს მიაჩნია, რომ „აქ შესაძლებელია იგულისხმებოდეს როგორც მიტანი, ისე ურარტუც, ვანის ტბის მიმოები, რადგანაც... ჰარი ქვეყნა შეიცვალა ერთსაც და მეორესაც“ (იქვე).

აკად. ს. განაშია შეეცადა, ეს ტერმინი „ხურიტების“ სახელწოდებისათვის დაეკავშირებინა, რომელსაც წინათ შეცდომით „ხარი“-ს სახით კითხულობდნენ („ხური“-ს ნაცვლად) ([7], გვ. 16).

კოველივე ამის მიზებდავად, აკად. ს. განაშიას შეხედულებით მაინც ვერ გაიძრევა ჩვენი ტერმინების სემინტიკა-ეტიმოლოგია.

აკად. ი. შანიძის აზრით, ქართლ-ი წარმოადგენს სიტყვა პართნ-ი-ს („პართიელების“) სახეცელილებას: part-n-i→partl-i→Kartl-i→ქართლ-ი („საქართველო“) — ([8], გვ. 83).

აკად. ა. შანიძე წერს, რომ სიტყვა Kartvel-i მომდინარეობს პართიელთა ქვეყნის სახელწოდებისაგან პარტავა (Parthava). წარმომადლობის ქართული ელ- -el- სუფიქსის დართვის გძმით დუძე შეიცმიშა და partav-el-i-ს ნაცვლად მივიღეთ partv-el-i, აქედან კი საბოლოოდ kartv-el-i („ქართველი“) — ([8], გვ. 84).

აკად. ი. შანიძის აზრით, ზედსართავი სახელი kartul-i მომდინარეობს იმავე ფარმაკან partava: partavul-i→partvul-i→parttul-i→kartul-i (იქვე).

ძნელი მისახევრითი არ უნდა იყოს, რომ აკად. ი. შანიძის ამ დებულებას მწიგნობრულის, ხელოვნურის შთაბეჭდილება აქვს.

„ქართლის მოქცევის“ მნიშვნელობა აკად. ი. ჯავახიშვილის შემდეგნაირად აქვს გამოთქმული: „მეტად საყურადღებოა, რომ ჩემინა ძველმა მატიანელი გამოიყვანა „ქართლისა“-მაც კარგად იცის, რომ ქართველები კავკასიის თავნენ მოქცევა ქართლისაც არ იყვნენ... იგი თვით მოგვითხრობს, როგორ და დაპირებული მცხოვრები არ იყვნენ... იგი თვით მოგვითხრობს, როგორის მოვიდნენ ქართველები კავკასიში და დასახლდნენ. „ქართლი“ და ქართველთა სამეფო მაშინ... კავკასიაში კი არ იყო, არამედ სამხრეთით... ქართველთა დაახლოებით V—IVს. ძვ. წ. უნდა შემოსულიყვნენ ქართები ამიერმაგრამ დაახლოებით V—IVს. ძვ. წ. უნდა შემოსულიყვნენ ქართები ამიერმაგრამი და თანდათან აღმოსავლეთი საქართველო დაეპყრით“ ([2], გვ. 68).

ტერმინ „ქართა“-ს ურადღება მიაქცია პროფ. ს. კაკაბაძემაც. იგი წერდა: „არამაზის წინანდელი სახელი ქართლი უნდა ყოფილიყო... სვანურად ქვლთხი ადგილზე შენებულობას. ძველ ქართულშივე ქორედი მრავალსართულიან ღალ ადგილზე შენებულობას. რაჭულ თქმაში სიტყვა ქორეთი ნიშნავს სხვენს. ძველ ქართულშივე გვხვდება ქორი სახლის ერთოზე დაშენებული სახლის მნიშვნელობით. ქართა ქვემო იმერულში ნიშნავს საბორეს. ქართა ავარულში „პორ“ ფორბით. ქართა ქვემო იმერულში ნიშნავს საბორეს.“

မით, ხოლო უდურში „ქალა“-ს სახით ნიშნავს თვის შესანახ გადახურდნა და გილს“ ([9], გვ. 5—6), თუმცა პროფ. ს. კაკაბაძეს შესაძლებლი მიზნებსა მიზანებს რენირი ახსაც, რომლის მიხედვითაც, სავარაუდო, მეგრული „ქართი“ მოდიდეს ძეელ ქართულ ტერმინიდან — „ქალა“ ([9], გვ. 8).

პროფ. ს. კაკაბაძის მოსახრება საეჭვოდ მიგვაჩინია, რადგან მის მიერ მოხმაბილ ტერმინებს არაფერი აქვთ საერთო სიტყვასთან „ქართლი“. უხერხულია და აუქსნელი ჩვენი ტერმინის დაყავშირება საღორესთან, თანაც „ქართა“ იმერულში ბაյს, ფარებს ნიშნავს ([10], გვ. 262) და არა საღორეს.

როცა ქართულ სიტყვებს „ქართლ“-სა და „ქართველ“-ს მეგრულ სიტყვას „ქართა“-ს უკავშირებენ, ამისაცლად იღებენ „ქართა“-ს იმ მნიშვნელობას, რომელიც პროფ. ი. ყიფ შიძეს აქვს ფიქსირებული. მისი მონაცემით, „ქართა“ მეგრულში აღნიშნავს „летний хлев (простое загороженное место, открытое сверху); ռ-ქაртъ; место, годное для хлева“ ([11], გვ. 342).

უნდა აღინიშნოს, რომ ქართა გურულშიც ვეხვდება „ქალტა“-ს ფორმით, რაც ბაյს აღნიშნავს ([12], გვ. 248); ([13], გვ. 560).

აყალ. გ. მელიქიშვილი ერთ აღრეულ ნაშრომში სამხრეთ-ქართული, ისტორიული ქვემო ქართლისა და მესხეთის ტერიტორიაზე ბუკოლიკები აღმოსავლურ-ქართული ტომების გერგობანების სამფოდ მიიჩნევდა არიანა — ქართლს; იგი ამ სიტყვას ასე ხსნდა სავარაუდოდ: არიული, ე. ი. სპარსეთის ქართლი, ე. ი. აღმოსავლურ-ქართულ ტომთა ის ტერიტორია, რომელიც აქებენიდების სპარსეთის შეძალებლობაში იყა. მოხვედრილი ([14], გვ. 28—29).

სხვა ნაშრომში [7], უმეტაც რამდენიმე მაჟული წლის შემდეგ გამოქვეყნდა, აყალ. გ. მელიქიშვილი წერდა, რომ „ცეცო ფორმების ასებობა, როგორიცაა ქართი (მეტა. ქართუ), ქარცველი. საქართველო“ და სხვ., რომელთა კეშირი „ქართლი“ — სახელწოდებასთან ეჭის გარეშეა, უცილობელს ხდის, რომ „ქართლ“-ის „ლ“ ცნობილი ქართული დელტომინატი სუფიქსია, ასე რომ, ძირეული მასში „ქართ“ ან, უფრო ზუსტად, სწორედ „ქართა“ უნდა იყოს (აღმა: ქართა-ელი>ქართველი (კეთილწილობრივი სტრუქტურის ჩატარვის „ვ“) ქართველი (შეღ. რაჭა — რაჭელი). მნიშვნელობის მხრითაც დასავლურ-ქართული „ქართა“-ს „ქართლთან“ დაკავშირებას დიდი დაბრკოლება აქ ხვდება, რამდენადაც ქართული წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ „ქართლი“ უნდა ყოფილყო ქართლის მეფეთა უძველესი რეზიდენციის, დიდი გალვანშემოვლებული ციხე-სიმაგრის თავდაბირველი სახელი“ ([7], გვ. 238).

იმავე ნაშრომში, სხვა აღვილას აყალ. გ. მელიქიშვილი იყეოდს შემდეგ დასკვნას: „რამდენადაც „ქართლში“ „აქროპოლისის“, ქალიქის, ციხე-სიმაგრის, გალვანშემოვლებული აღვილის მნიშვნელობა შეიძლება ვიგულისაზოთ, მისი სემანტიკური სიახლოე დასავლურ-ქართულ „ქართა“-სთან, რაც შემოზღულულ აღვილს ნიშნავს. ვფიქრობთ, აშვარაა“ ([7], გვ. 239).

ჯერ კიდევ 1951 წელს ქართველი ხალხის წარმოშობისა და სიტყვა „ქართველის“ ეტიმოლოგიის შესხებ აყალ. გ. მელიქიშვილი, ემყარებოდა რა აყალ. ი. გაგახიშვილის მოსახრების, წერდა: „ეს ხალხი აღმოსავლურ-ქართული წარმოშობის უნდა ყოფილიყო. მათი სახელი „ქარდუ“ (გამოიქმაში უნდა გვქონდა „ქართუ“) იღენტურია აღმოსავლურ-ქართული გაერთიანების პერიოდი ტომის აღვილობიდან სახელისა („ქართუ“ — აძლევანა „ქართუელი“ — „ქართველი“). კარდუ — ხალხის ქართველობას ამჟღავნებს ამ ხალხის სახელის ამავე ლროს წყარის უძველესი „კორდუ“ („კორდუს“) ფორმით ხმარებაც. ეტყობა, ამ დროს აღმოსავლურ-ქართული ტომის — კარდუს — გაერდით

მეგრულ-ჭანურ მოსახლეობას უცხოერია, რომლის ენიდან უნდა მიეღონ აზერბაიჯანის ძირითადი მნებელის და სომხების ამ ხალხის სახელი“ ([15], გვ. 137).

აյად. გ. მელიქიშვილი „ქარდუს“ მართებულად უკავშირებს „ქართველს“, „ქართა“-ს.

ჯერ კიდევ 1908 წელს აკად. ნ. მარი მა გამოთქვა მოსაზრება ქართ ფუძის უძველესი ფორმის შესახებ. მაშინ იგი წერდა: „К первоначальному виду восходит груз., resp. груз. и в грузинской основе qarθ, от которой произведены груз. qarθ-ul-i грузинский, груз. qarθ-l-i Грузия (Картлиния), сван. qyargh, resp. qyrgh-l-id, мингр. qorθ-и грузин, сван. tquagħ, resp. t-quqgħ-l-id. В самом грузинском языке для обозначения грузина постепенно gentile с соответственным суффиксом el образовано от той же основы в форме не единственного числа, а архаического иверского множественного числа на iv-qarθ-iv и звучит qarθveli (qarθ-iv-el-i). От последнего происходит сравнительно новое географическое название в форме имени места Saqarθvelo Грузия. Таким образом, основа (qarθ) этого названия грузин восходит к более древней форме qasd, с суффиксом mi. числа iv- qasdiv“ ([16], გვ. 5).

როგორც ჩანს, აკად. ნ. მარის ძირითადი დასკვნა ასეთია: ქართულ ენაში ქართველის ალსანიშნავად გამოყენებულია ფუძე qarθ არქაული ივერული (მეგრული) ენის მრ. რიცხვის iv ფორმით qarθveli (qarθ-iv-el-i).

ამ დებულებას აკად. ნ. მარი 30 წლის შემდეგაც გაიმუშავა მი განსხვავებით, რომ არქაული ივერული (მეგრული) ენის მრ. რიცხვის iv ფორმის უკვე აფხაზური ენის კუთვნილებად მიიჩნევს. აი რას წერდა აკად. ნ. მარი: „...грузинское слово ქართველი qarθv-el-i произведено не от чистой основы этнического термина qarθ, а от его формы мн. числа qarθ-iv по тубал-каинскому образованию... весьма возможно, что тема, qarθv, от которой образован грузинский термин qarθv-el-i, ქართველი представляет основу (qarθv-<qarθv-), абхазского мн. числа a-qarθv-a ([17], გვ. 14).

აյ გამოთქმული მოსაზრებით აკად. ნ. მარი მიინიშნებს მეგრულ-აფხაზურის კიდევ ერთ საერთო ენობრივ პარამეტრს. მაგრამ, მიუხედავად მისი დიდი მეცნიერული რუდუნებისა და სურვილისა, სიტყვა ქართველის ეტიმოლოგია მაინც აუსწნები დარჩა.

ივ. შოპენის აზრით, ქართლი ნიშნავს ოფიციალს, სადაც ცხოვრობს ბინადარი (оседლები) ხალხი ([18], გვ. 15).

საკვლევი საკითხის შესახებ თავიანთი მოსაზრება ვამოთქვეს სომეხში მეცნიერებმა.

ლ. მელიქიშეთ-ბეგი „ქართლს“ უკავშირებს სატომო სახელს „ქართ“-ი. რომელიც მიაჩინია ტერმინ „ხალდუ“-ს სახეს ხეობად ([19], გვ. 96).

ნ. აღონცი ამოდის კარდუ//ქართუ ტერმინებიდან ([20], გვ. 398).

ცხადია, რომ ლ. მელიქიშეთ-ბეგი და ნ. აღონცი ი. ჯვარიშვილისა და ს. ჯანშიას შეხედულებას იზიარებენ.

გრ. კაპანციანი სიტყვას ქართველს ასე შლის — ქართ-ველი. ამ უკანასკნელს ის უკავშირებს ხეთურ ბირ//ბერს მნიშვნელობით „სახლი, გვარი, ტომი“ ([21], გვ. 5, 7, 13, 18).

ასეთია სიტყვების „ქართლი“ და „ქართველის“ შესახებ დღიურე გამოთქმულ მოსაზრებათა შოკლე მიმოხილვა, რომელიც გვიჩერებს, რომ საკვლევი სიტყვების ეტიმოლოგიისა და სეზინტრეკის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ჩვენ კიზიარებთ აკად. გ. მელიქიშვილის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს, რომ-

ლის მიხედვით „ქართლი“ და „ქართველი“ მომდინარეობენ მეგრული ქართული საგან „ქართა“, როცა ის აღნიშნავს ბაქს, ფარებს, შემოზღუდულ ბიბლიუსებს მეგრული ენის წილში ლექსიკოლოგიურმა კვლევა-ძიებამ გამოიყოლინა დიდ-ძალი აზალი მასალა და ეს სიახლე პირველ რიგში შეტყობინებული სიტყვა „ქართა“-ს სერიატურია.

სიტყვა „ქართა“-ს დღევანდელ მეგრულში მრავალი მნიშვნელობა აქვს:

1. წრე, ნიმბი, შარავანდელი (ტაძრის ფრესკებზე), წმინდანიდ შერაცხილ-თა (აღიარებულთა) გამოსარჩევი ნიშანი;
2. დღამინთა შეკრული წრე, როცა რომე სულიერს იჭირენ;
3. შემოლობილი ადგილი ოთხფეხა ცხოველთა დასამწყვდევად; ბაკი, ფარები;

4. ციხეს შემოვლებული გალავანი;

5. მოვარეს, მზეს მრგვალად, წრიულად მოთეთრო ბაცი ფერი რომ ადგას;

6. მორიელის ნაკენს თეთრი სითხე რომ ადგას წრიულად;

7. ცეკვით თამაშობის ერთ-ერთი სახე;

გარდა ამისა, ქართ ნიშნავს:

ა) აქეთებს; ბ) გაღვეღლო; გ) შეუბრუნდა.

ჩენ არ ვთვლით, რომ „ქართა“ — სიტყვის ყველა მნიშვნელობა მეგრულში აღნიშნულით ამოიწურება. მაგრამ, რაც ფექსირებულია, ისიც მრავლისერტყველია. კერძოდ, არა ვვგონია, რომ ნასესხებ სიტყვას ასეთი მრავალი მნიშვნელობა შეეძინა. „ქართა“ სიტყვის ჩენ მიერ ჩაწერილი მნიშვნელობანი, უნდა ვითქმიოთ, პირველადია, ძირითადი, რომელთაგან ბაკის, ფარების, ციხე-სიმაგრის, გალავანშემოვლებული ადგილის მნიშვნელობა სხვა ენებმაც შეითვისეს. სხვა მნიშვნელობანი მეგრულის კუთვნილებად დარჩა. „ქართა“ სიტყვის ეს პოლისემანტურობა, შეიძლება ითქვას, იმას ვიჩვენებს, რომ იგი კოლხურ/ზანური (-მეგრულ-ჭანური) ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის ერთეულია.

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ „ქართა“-ს კავშირზე მას ინდოე ევროპულ პარალელთან. აյად. გ. მელიქი შვილი წერს: „gar“ das ლიტ-ეურში აღნიშნავს „ზღუდეს, გალავანს, ღობეს, ბაქს“; შდრ. აგრეთვე გოთ. garda-თანებ. გერმ. Hürde, Viehhof-ს. ზოგ სხვა ინდოევროპულ ენაშიც იგი „შემოლობილ ადგილს, ღობეს“ აღნიშნავს. არის ეს სიტყვა გერმანული გვეფის ენებშიც. სხვაგან ამ ძირს სახლის მნიშვნელობა მიუღია, მაგრამ ფართოდ განიითარა მათ აგრეთვე „ციხესიმაგრის“, გამაგრებული ადგილის“, „ქალაქის“ მნიშვნელობა: ი. ფრიგიული — gordum „ქალაქი“, სლავური grad „ციხესიმაგრე“, „კოშკი“ რუსული „город“ ([7], გვ. 239).

სიტყვა gard-ის სემანტიკურ მიმოხრებზე ინდოევროპულ ენებში მიუთითებენ თ. გამყრელი და ვ. ი ვახ ოვი. მათ აზრით, „ალ. gardh „огороженное место“, лит. gárdas „загон“, „стойло“, „огороженное место“, гор. gards „дом“, спр. др.-англ. geard „загородка“, „сад“, „огород“, др.-в.-нем. garto (нем. Garten); ст.-слав. gradъ „крепость“, „город“, „сад“ ([22], გვ. 744).

ინდოევროპულ ენებში garda სიტყვის მნიშვნელობათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათ შორის უპირველესია გომის, ბაკის, გამაგრებული ადგილის, ციხესიმაგრის მნიშვნელობა, სხვა დანარჩენი კი — ქალაქი, ბალი, საცხოვრებელი ადგილი — შემდგომ ჩანს განვითარებული.

<sup>1</sup> სიტყვა „ქართა“-ს აქ აღნიშნული მნიშვნელობანი ჩაწერინა ჭ. ჟუგილის მცხოვრებმა კონკრეტურა არჩილის საულმა ზარეკუამ, სპეციალობით მეცნობმ, რომელიც მეგრული ენის ტრადიცია, აქვთ შეგროველი დიდალი ლექსიკა, სამწუხარო, ჯერჯერობით არაფიქსირებული საუცილეს ლიტერატურაში (გ. ს.).



პროფ. ვ. გეორგიევი უშენებს „ქალაქის“ მნიშვნელობის მქონეს სკოლურად ზური kardas არსებობას. იგი წერს: „...grt-gart—„город“ из пеласгского *\*kai-*  
das-s, ი. ე. ghordhos „город“ ([23], გვ. 103).

კანონზომიერად მიგვაჩნია ასეთი კითხვის დასმა: იხმარებოდა თუ არა მე-  
გრული „ქართა“ „ქალაქის“ აღსანიშნავად? პასუხი, რა თქმა უნდა, დადგებითია.

როგორც აღინიშნა, „ქართა“-ს უპირველესი, ძირითადი მნიშვნელობები  
იყო ბავის, ფარეხის, ციხესიმაგრის, გალავანშემოვლებული ადგილის აღნიშვ-  
ნა. აღნიშვნული სემანტიკიდან ქალაქის მნიშვნელობის შეძენა იმ უძველესი  
დროის ამოცანა იყო, რცე იმთავითვე გაცემდა. გაცემდა, იმიტომ რომ ვალა-  
ვანშემოვლებული ადგილი, ციხესიმაგრე და ქალაქი სემანტიკური ველის  
ერთ სიბრტყეზე დგენს, ხოლო პირველი ორის სემანტიკის პირდაპირ მიკუთხართ  
ქალაქის ცნებასთან.

1914 წელს პროფ. ი. აუფშინი წერდა, რომ „ქართლსა და თბილის მე-  
გრულში „ქართი“-ს სახელი შემორჩია“ ([11], გვ. 345). საუკუნის დასასრულობაც  
იგივე ვითარებაა არა მატრო მეგრულში, არამედ აფხაზურშიც. მეგრელის (და  
აფხაზის) მეტყველებაში „ქართი“ ჰქვია თბილის. 1500 წლის ისტორიაში  
მეგრელის მეტყველებაში „ქართი“ ვერ აქცია თბილისად. მისთვის „ქართი“  
ერთადერთია „მთავარი ქალაქი, ციტადელი. მეგრულმა ენამ შემოინახა ათა-  
სეული წლების სიტუაცია და სუნთქვა, როცა „ქართი“ ერქვა გალავანშემოვ-  
ლებულ ადგილს (უფრო ადრე, ალბათ, ფარეხს, ბაქს), ციტა-  
დელს, მთავარ ქალაქს.

დღევანდელი მეგრელის მეტყველებაში ქართლსაც „ქართი“ ჰქვია, რი-  
თაც გაცხადდა იდენტურობა ამ ცნებებისა, როგორც ისტორიის შორეული  
წარსულის უტყუარ მოწმეთა.

პროფ. ვ. გეორგიევის აზრით, პელაგური kardas დადო საფუძვლად ინ-  
დოევროპულ თუ ქართველურ ენებში არსებულ შესატყვის ლექსიკურ ერთე-  
ულებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზანური (= მეგრულ-კანურის) „ქართა“ დადო  
საფუძვლად აღნიშვნულ სიტყვებს ბავის, გომის, შემოლობილი ადგილის, ციხე-  
სიმაგრის, ქალაქის მნიშვნელობით. ეს მოხდა მაშინ, როცა ქართველური ტო-  
მები მცირე აზიაში ცხოვრობდნენ, კერძოდ, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავ-  
ლეთ რაიონებში, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. სწორედ იქ არის  
სავარაუდებელი ენობრივი კონტაქტები ინდოევროპელ ტომებთან, კერძოდ,  
კონტაქტები ხეთი-ნეხისიტანთან, ლუვიელებთან, თრაკიულ-ფრიგიულ ენებთან,  
პელაზგურთან, ეტრულსკულთან.

ქართველი მეცნიერები, აკად. ივ. ჭავახიშვილი და აკად. გ. მელიქიშვილი  
ხშირად ახსენებენ ქართუ-ს ან კართუ-ს, როგორც ქვეყნის თუ ხალხის სახელს.  
უნდა აღინიშნოს, რომ „ქართა“, როგორც აღმოსავლურ-ქართული ტომის საც-  
ხოვრისი (გალავანშემოვლებული ციხესიმაგრე, ქალაქი, რეგიონი) მეგრულად  
წარმოითქმობა ან როგორც ქართი, ან როგორც ქართგ. აქედან ქართი დღესაც  
მთელ სამეგრელოში იმარება, ქართგ კი, (კერძოდ, ნახვაორბმოვანი გ, რომე-  
ლიც უ-დაც იქითხება) სამურზაყანოს მეტყველებას შემორჩია. მაგრამ, უნდა  
ვივარაუდოთ, რომ გ ძველად უფრო ვრცელ ტერიტორიაზე იყო გაერცელე-  
ბული და იქიდან აირეკლა ისტორიულ მასალებში როგორც ქართგ-ქართუ-  
„კორდუ“ კი „ქართგ“-ს ინდოევროპული წავითხვაა. „კორდუ“ მეგრული „ქორ-  
თუ“-ს უცხონოვანი წარმოთქმაა.

ჩვენი აზრით, იმ დროს, როდესაც ქართველური ტომები ცხოვრობდნენ  
მცირე აზიაში, კოლხები (= მეგრულ-კანური) ქართა-ს უშოდებლენენ იმ გალა-  
ვანშემოვლებულ ადგილს, ციხესიმაგრეს, ქალაქს, სადაც მათი ნათესავი ხალ-  
ხი ცხოვრობდა. ეს მეზობლობა უნდა ვივარაუდოთ კოლის მთის მიღმებებში

ან უფრო სამხრეთით, ჭოროხის აუზში. ჩოცა ამ ხალხის საცხოვრისებრო და კიხესიმაგრის თუ ქალაქის არეალს და შედარებით ვრცელ ტერიტორიული განვირო, მას ქართლ-ი ეწოდა (= ქართ-ს), ხოლო ქართლში მცხოვრებთ — ქართ(ე)ლი.

იმის კვალობაზე, თუ როგორ მოიწევდა ჩრდილოეთისაკენ და როგორ ფართოვდებოდა ქართლი (= ქართის) ტერიტორია, იმის მიხედვით, თუ საღიყო ქართ(ე)ლთა რეზიდენცია (კოლას მიდამოებთან, არმაზ-მცხეთაში თუ თბილისში), ტერმინი „ქართი“, როგორც ქართ(ე)ლთა ციტადელის, ციხე-სიმაგრის, ქალაქის სახელწოდება, მხოლოდ მასზე გადადიოდა.

არ უნდა დაგვავიწყდეს უუპროცესიც. სწორედ ქართ(ე)ლმა ხალხმა შეარქვა კოლას მიდამოებში მეზობლად მცხოვრებ მონათესავე ტომს კოლ-ხ-ი (ის, ცინც კოლა-ს მიდამოებში ცხვორობს), ხოლო მის საცხოვრისს — კოლ-ხ-ეთ-ი, სადაც ხ ხურიტული სატომო სახელების მაწარმოებელია, რომელსაც იმავე ფუნქციის ქართული — მთ სუფიქსი დაერთო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კოლხიდა პელაზებური სახელწოდებაა, სადაც იდა ნიშნავს ტუთ დაფარულ ადგილს ([18], გვ. 19). არცთუ უადგილოა იმის შესხენებაც, რომ მარგალ-ი ერთადერთი სახელია მეგრულში საღაურობის მ-პრეფიქსით: მ-ა-რგ-ალ-ი—მ-ა-გრ-ალ (შერ, აფხ. ა-გრ-უ), „მეგრული“ — ქართ. მეგრელის — მ-ე-გრ-ელ კანონზომიერი ზანური ვარიანტია ქართულისა და ზანურის დიფერენციაციამდე არსებული მასალისა“ ([24], გვ. 190).

მაგრამ ჩვენი საკვლევი სიტყვების ერთმოლოვისა და სემანტიკის გასარკვევად და სრულ წარმოსაჩენად გასათვალისწინებულია „ქართა“-ს სხვა მინშენელობაც.

როგორც აყად. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, წარმართობის დროინდელი ქართველების მთვარი ლეთაება მთვარე იყო... მთვარის, კითარცა მთვარი მეუღისა და ლეთაების, თაყვანისცემა ყველა ქართველი ტომის უძველეს რწმენად უნდა ჩიოთვალოს. აყად. ი. ჯავახიშვილის მას სიტყვების სისწორეს იდან-ტურებს სიტყვა „ქართველის“ ის ნიშნენილობა, რომელსაც „ქართა“ აძლევს. როგორც აღნიშნეთ, მეგრულში „ქართას“ ასეთი მნიშვნელობაც აქვს: „მთვარეს, მზეს მრგვლად, წრიულად მოთეთრო ბაცი ფერი რომ ადგას“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „მთვარის გვირგვინი“. უ. ი. „ქართას“ მიხედვით ქართ(ე)ლი არის ის, ვისაც „ქართა“ — „მთვარის გვირგვინია“ ადგას თვეზე!. ეს კი ნიშნავს, რომ ქართ(ე)ლის ლეთაება, მთვარი მეუღე, მთარველი არის მთვარე.

მტრიგად, „ქართა“-საგან მივიღეთ „ქართ(ლ)“-ი და „ქართ(ე)ლ-ი“, ხოლო მოგვიანებით, ერთიანი და მთლიანი საქართველოს ეპოქაში, აზლი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების ნიხედვით — „სა-ქართველო“ და „ქართულ-ი“.

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის  
სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

(შემოვიდა 26.11.1992)

<sup>1</sup> „ქართას“ ეს მნიშვნელობა პუბლიცისტურ ლიტერატურაში მითითებული აქვს ლ. ალფეინიძეს [25] 557). იგი აღნიშნავს რომ „ქართა“ სანსკრიტლ ენაზე მთვარის ერთ ფაზასაც აღნიშნავს და პლეაზის თანავარსკვლევადსაც ([25, 568 გვ.]).

В. А. СЕРГИЯ

К ЭТИМОЛОГИИ СЛОВ KARTL-I («ГРУЗИЯ») И  
KARTVEL-I («ГРУЗИН»)

## Резюме

В статье исследованы этимология и семантика названных слов. После обзора литературы излагается новый взгляд, суть которого состоит в следующем: в основе Kartl-i и kartvel-i лежит занское (сохранившееся в мингрельском языке) слово karta, которое среди других, имеет и значения огороженной крепости, города и лунного венца. Исходя из этих значений, karta — это огороженная крепость, город (главный город), где жили kartliane, носившие лунный венец, т. е. были язычниками, высшим божеством которых была луна.

Слова Kartl-i и kartvel-i были образованы в том далеком прошлом, когда предки картвельских племен жили еще в Малой Азии, а язык — основа картвельских языков — еще не был расченен на составные родственные самостоятельные языки.

LINGUISTICS

V. SERGIA

THE ETYMOLOGY OF THE WORDS KARTL-I (GEORGIA)  
AND KARTVEL-I (GEORGIAN)

## Summary

The artistic researches the etymology and semantics of the above mentioned words. Haviang observed the special scientific literature on the point, it is a quite new interpretation of the question. The root-basis of the words „Kartl-i“ and „kartvel-i“ comes from the Zan word „Karta“ (this form is preserved in Mengrelian language up to our days). Besides some other meaning, this Zan word „Karta“ means as well „the surrounded tower“, towns and „Lunar corona“. Taking into consideration these meanings, it is possible to state „Karta“-denotes „the surrounded tower, the capital town, where live „Kartli-ana“, those who are carrying lunan corona“, i. e. pagans whose supreme idol is the Moon“.

